18/11/2021

ბენილუქსის მართლმადიდებელ მღვდელმთავართა კრება Online გაიმართა

ბენილუქსის ქვეყნების მართლმადიდებელ მღვდელმთავართა საშემოდგომო კრება ონლაინ რეჟიმში გაიმართა.

კრებას თავმჯდომარეობდა მსოფლიო საპატრიარქოს მღვდელმთავარი, ბელგიის მიტროპოლიტი ათინაგორა.

კრებაში სხვა ადგილობრივ ეკლესიათა მღვდელმთავრებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს საპატრიარქოს მღვდელმთავარი, ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი დოსითეოსი.

კრებამ განაჩინა:

“კორონავირუსული ინფექციის საგანგაშო გავრცელების პირობებში მედიცინის ამჟამინდელი მონაცემების გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ ჯერჯერობით ვაქცინაცია, სხვა დამცავი ზომების პარალელურად, ყველაზე ეფექტური საშუალებაა დაავადების გადაცემის შესამცირებლად. კრება ყველა მორწმუნეს მოუწოდებს აცრისაკენ”.

კრეტის დიდი და წმიდა კრების განჩინების თანახმად ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიათა საზღვრებს გარეთ წარგზავნილი მღვდელმთავრების

კრებას ხელმძღვანელობს მსოფლიო საპატრიარქოს ადგილობრივი მღვდელმთავარი.

wenews.ge